სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 1

ქ.ქუთაისი 06.09.2024

სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ

კათედრის წევრები:

1. **ბესიკ მაჩიტაძე -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
2. **მურმან სურმავა -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
3. **ზინა ბუბუტეიშვილი -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
4. **გიგა ბასილაძე -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
5. **ქალთამზე მელქაძე** - სამოქალაქო განათლების მენტორი მასწავლებელი
6. **ნიკოლოზ ნემსიწვერიძე -** დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ ისტორიის წამყვანი მასწავლებელი **ნათია კენჭაძე**.

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის თავმჯდომარემ **ქალთამზე მელქაძემ.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. კათედრის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა;
2. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
3. გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა/განხილვა;
4. პედაგოგთა საათების განაწილება;
5. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება;
6. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა/გადახედვა;
7. 2025-2026 სასწავლო წლის ლიცეუმის სასწავლო გეგმის პროექტის განხილვა.

საკითხი N1. კათედრის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა.

მომხსენებელი: საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის თავმჯდომარემ **ქალთამზე მელქაძემ.**

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, კათედრის მუშაობის პრინციპები, გადაწყვეტილების მიღების წესი. ასევე შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით. ამასთანავე კათედრის წევრებს შეახსენა, რომ კათედრის თავმჯდომარედ ერთი და იმავე პიროვნების არჩევა შესაძლებელია სამჯერ ზედიზედ.

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, სკოლამ უნდა აირჩიოს კათედრის თავმჯდომარე. კათედრის სხდომების ოქმების წარმოებისათვის კი საჭიროა არჩეულ იქნეს მდივანი.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა:

მასწავლებელმა **ზინა ბუბუტეიშვილმა** კათედრის თავმჯდომარედ დაასახელა **ბესიკ მაჩიტაძე,** ხოლო მდივნად **მურმან სურმავა.** მან აღნიშნა, რომ მათ აქვთ დიდი გამოცდილება, სრულად შეესაბამებიან თავმჯდომარისა და მდივნის თანამდებობებს.

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

სასწავლო წლის ვადით საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს **ბესიკ მაჩიტაძე,** ხოლო კათედრის მდივნად **მურმან სურმავა.**

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

საკითხი N2. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ბესიკ მაჩიტაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ კათედრა თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შეიმუშაოს კათედრის სამოქმედო გეგმა. მან კათედრის წევრებს გააცნო 2024-2025 სასწავლო წლის კათედრის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

აზრი გამოთქვა: ქალთამზე მელქაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა კათედრაში გაერთიანებულ ყველა პედაგოგს აძლევს შესაძლებლობას და ასევე მიმართულებას ეფექტურად წარმართოს თავისი საქმიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ კათედრის სამოქმედო გეგმისათვის წარმოდგენილი სახით

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი-0

დაადგინეს: დამტკიცდეს საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

საკითხი N3. გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევა/განხილვა.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ბესიკ მაჩიტაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N 36/ნ ბრძანების დანართის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ,,შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო კონკრეტულ სკოლაში მოქმედებს არჩევიდან 5 წლის განმავლობაში''. ლიცეუმმა 2012-2013 სასწავლო წელს აირჩია გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლითაც უნდა ასწავლონ 5 წლის განმავლობაში. გარდა ამისა განათლების სამინისტროს მიერ საშუალო საფეხურზე არ მომხდარა ახალი სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭება, შესაბამისად 2020-2021 სასწავლო წლისთვის წინა წელს შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები:

- ✔ X-XI- XII კლასი გეოგრაფია - მ.ბლიაძე, გ.ჭანტურია, გამომცემლობა ბაკურ სულაკაური.
- ✔ X კლასი ისტორია (ნაწილი I) -**რ. ლაბაძე, ი. ვეშაგური, ნ. ოთხვანი, ლ. ხათრიშვილი, გამომცემლობა შპს ,,ლოგოს პრესი“;**
- ✔ X კლასი ისტორია (ნაწილი II) – გ.ევანისელი, მ.სურგულაძე. **გამომცემლობა შპს ,,ლოგოს პრესი“;**
- ✔
- ✔ X კლასი **საქართველოს ისტორია – ი.ღამბაშიძე, ვ.შატბერაშვილი, გ.ანჩაბაძე, გ.გამყრელიძე, გამომცემლობა შპს ,,ლოგოს პრესი“;**

- ✔ X კლასი მოქალაქეობა – ნ. ტალახაძე, ნ.კაპანაძე, მ.შავაძე, შპს გამომცემლობა სიდი.
- ✔ X კლასი სამოქალაქო განათლება – მ.ტარულიშვილი, ნ. ტალახაძე, შპს გამომცემლობა სიდი.
- ✔ XI კლასი ისტორია – ნ.ახმეტელი, ბ.ლორთქიფანიძე, ნ.ფირცხალავა, თ. გოგოლიშვილი, გამომცემლობა დიოგენე;
- ✔ XI კლასი საქართველოს ისტორია – ნ.ახმეტელი, ბ.ლორთქიფანიძე, გამომცემლობა დიოგენე;
- ✔ XI კლასი მოქალაქეობა – ნ.ტალახაძე,გ.ერქომაიშვილი, გამომცემლობა სიდი;
- ✔ XII კლასი სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - ნ.ტალახაძე, გამომცემლობა სიდი.
- ✔ XII კლასი ისტორია - ნ.კიღურაძე, გ.სანიკიძე, გამომცემლობა ბაკურ სულაკაური;

კათედრის თავმჯდომარემ - **ბესიკ მაჩიტაძემ** დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მასწავლებელს უფლება აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმის 25-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნტებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების გარდა, სწავლებისას დამატებითი რესურსის სახით გამოიყენოს სხვა საგანმანათლებლო რესურსი და თვალსაჩინოება.

გეოგრაფია - საქართველოს ატლასი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი)

- VII – VIII კლასის მსოფლიოს ატლასი
- მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები, საქართველოს ფიზიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები, კავკასიის ფიზიკური რუკა, გლობუსი.

ისტორია - ტესტები ეროვნული გამოცდებისთვის (ნ.ახმეტელი, ბ.ლორთქიფანიძე. 2017)

- საქართველოს ისტორიული ატლასი (მ.სანაძე, თ.ბერაძე. 2003)
- სხვადასხვა ისტორიული რუკები

სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა - სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები (მაგ. თავდაცვის სამინისტრო, ნატოს და ა.შ. ვებ.გვერდები).

- საქართველოს ისტორიული ატლასი (მ.სანაძე, თ.ბერაძე. 2003)
- სხვადასხვა ისტორიული რუკები

აღნიშნულიდან გამომდინარე, კათედრის სხდომაზე მასწავლებლების მიერ მოხდა დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა.

მომხრე - 6 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა- 0

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

2024-2025 სასწავლო წლისათვის გამოსაყენებელი გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა განისაზღვროს არსებული ჩამონათვალის მიხედვით.

საკითხი N4. პედაგოგთა საათების განაწილება.

მომხსენებელი: მასწავლებელი **ბესიკ მაჩიტაძე.**

მოისმინეს: ბესიკ მაჩიტაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო პედაგოგებისათვის საათების სავარაუდო გადანაწილების გეგმა და მოუწოდა კათედრის წევრებს შენიშვნების შემთხვევაში დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი.

კათედრის წევრები გაეცნენ სავარაუდო საათობრივ ბადეს და შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კათედრის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პედაგოგთა საათების გადანაწილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

პედაგოგთა საათები განაწილდეს შემდეგნაირად:

მოქალაქეობა

მელქაძე ქალთამზე - X^1 ,X^2, X^3, X^4, $X^{5,}$, XI^1, XI^2 , XI^3, XI^4, XII^1, XII^2, XII^3. (12 სთ.)

სამოქალაქო განათლება პროექტებით სწავლება

მელქაძე ქალთამზე - X^1 ,X^2, X^3, X^4, X^5, XI^1, XI^2 , XI^3, XI^4 , XII^1, XII^2, XII^3. (12 სთ.)

ისტორია/საქართველოს ისტორია (ყველა კლასში 3-3 საათი)

1. ბუბუტეიშვილი ზინა - X^1, X^3, X^4, X^5, XI^1, XI^2, XII^1, XII^2. (24 სთ.)
2. ბასილაძე გიგა - X^2, X^3, X^5, XI^1, XI^3, XI^4, XII^1, XII^3. (24 სთ.)
3. ნათია კენჭაძე - X^1, X^2, X^4, XI^2, XI^3, XI^4, XII^2, XII^3. (24 სთ.)

გეოგრაფია

1. მაჩიტაძე ბესიკი - 2 სთ - X^1, X^2, X^3, X^4, X^5 , XI^1, XI^2, XI^3, XI^4 , 1 სთ. XII^1, XII^2, XII^3. (21 სთ.)
2. სურმავა მურამანი - 2 სთ - X^1, X^2, X^3, X^4, X^5 , XI^1, XI^2, XI^3, XI^4 , 1 სთ. XII^1, XII^2, XII^3. (21 სთ.)

თავდაცვა და უსაფრთხოება

ნიკოლოზი ნემსიწვერიძე - X^1, X^2, X^3 , X^4 , X^5 , XII^1, XII^3, XII^3 (8 სთ.)

მომხრე - 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

საკითხი N5. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ბესიკ მაჩიტაძე**

მოისმინეს: ბატონმა **ბესიკ მაჩიტაძემ** იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეიმუშავონ საგნობრივი კურიკულუმები, რა უნდა იქნას გათვალისწინებული, რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების; სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

კათედრის წევრებმა წარმოადგინეს თითოეული საგნის (გეოგრაფიის, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და მოქალაქეობის) კურიკულუმები.

თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: -6
წინააღმდეგი:-0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: კათედრის წევრებმა იხელმძღვანელონ წარმოდგენილი სწავლა სწავლების პროცესში წარმოდგენილი კურიკულუმებით.

საკითხი N6. ***შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა/გადახედვა;***

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ბესიკ მაჩიტაძე**

მოისმინეს: ბატონმა **ბესიკ მაჩიტაძე** დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეული მასწავლებლის მოვალეობაა გააკეთოს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. კერძოდ, კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება და შენახვა. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს

რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები. კათედრის ფუნქციაა, კოორდინირება გაუწიოს მასწავლებელების მიერ შემაჯამებელი დავალებების ჩატარებას და მოახდინოს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი.

აზრი გამოთქვა: კათედრის წევრმა **მურმან სურმავამ** აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი გვიჩვენებს მოსწავლეების მიერ მიმდინარე თემების ათვისების ხარისხს, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ინდივიდუალურად იმუშავოს მოსწავლეებთან შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: -6

წინააღმდეგი:-0

თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: კათედრის წევრებმა იხელმძღვანელონ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზების ფორმებით.

საკითხი N7. 2025-2026 სასწავლო წლის ლიცეუმის სასწავლო გეგმის პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში მ. გაბუნია

მოისმინეს: ქალბატონმა მ. გაბუნიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ზოგადი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ერთი წლით გაზრდას, ნაცვლად სამისა გახდება ოთხწლიანი. ამასთან დაკავშირებით, რადგან ლიცეუმში სწავლა ხორციელდება მხოლოდ საშუალო საფეხურზე და მომავალი სასწავლო წლიდან მე-10 კლასი შევა საბაზო საფეხურში, ამიტომ ლიცეუმი განახორციელებს მომავალში სწავლებას საბაზო და საშუალო საფეხურზე

აზრი გამოთქვა: კათედრის თავმჯდომარემ ბესიკ მაჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ ეს ცვლილება არ იწვევს საათობრივი დატვირთვის ცვლილებას არც ერთ საგანში და არ საჭიროებს მასწავლებლის შტატის დამატებას.

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული ზოგადი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები

სხდომის დასრულების დრო: 12:50 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/მ.სურმავა/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე **/ბ.მაჩიტაძე/**

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 2

ქ.ქუთაისი 07.10.2024

სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
კათედრის წევრები:

1. **ბესიკ მაჩიტაძე -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
2. **მურმან სურმავა -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
3. **ზინა ბუბუტეიშვილი -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
4. **გიგა ბასილაძე -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
5. **ქალთამზე მელქაძე** - სამოქალაქო განათლების მენტორი მასწავლებელი
6. **ნათია კენჭაძე -** ისტორიის მასწავლებელი

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი **ნიკოლოზ ნემსიწვერიძე.**

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის თავმჯდომარემ **ბესიკ მაიტაძემ.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი

- ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოსწავლეების მომზადების საკითხის განხილვა;

საკითხი #1: ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოსწავლეთა მონაწილეების მომზადების საკითხის განხილვა.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ბესიკ მაჩიტაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი. მან კათედრის წევრებს შეახსენა, რომ აუცილებელია დაიწყოს მოსწავლეების აქტიური მზადება ეროვნული ოლიმპიადებისათვის მან აღნიშნა, რომ ოლიმპიადების მიზანია სწავლისადმი ინტერესების გაღვივება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და მათი წახალისება, რაც მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ სკოლისთვისაც.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: ნათია კენჭაძემ და ზინა ბუბუტეიშვილმა აღნიშნეს მოსწავლეთა მონდომება და წარმატება წინა სასწავლო წლებში. მათი აზრით, საჭიროა, მასწავლებლებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს ოლიმპიადებისთვის სათანადოდ მომზადებაში, რათა კიდევ უფრო დიდი წარმატებები იქნეს მიღწეული, ჩემი აზრით კვირაში ორი საათი საკმარისი იქნება მოსწავლეთა ოლიმპიადისთვის მომზადებისათვის.

კათედრის თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 6

წინააღმდეგი:-0

დაადგინეს: კათედრის წევრებმა ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა მოახდინონ მოსწავლეთა მომზადება გეოგრაფიისა და ისტორიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში კვირაში ორი საათი .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 16:50 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/მ.სურმავა/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე **/ბ.მაჩიტაძე/**

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 3

ქ.ქუთაისი 25.12.2024

სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ

კათედრის წევრები:

1. **ბესიკ მაჩიტაძე -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
2. **მურმან სურმავა -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
3. **ზინა ბუბუტეიშვილი -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
4. **გიგა ბასილაძე -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
5. **ქალთამზე მელქაძე** - სამოქალაქო განათლების მენტორი მასწავლებელი
6. **ნათია კენჭაძე -** ისტორიის წამყვანი მასწავლებელი
7. **ნიკოლოზ ნემსიწვერიძე -** დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი.

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის თავმჯდომარემ **ბესიკ მაიტაძემ.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 7 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი

1. პირველი სემესტრის შედეგების განხილვა/ანგარიში;

2. პირველი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

საკითხი #1: პირველი სემესტრის შედეგების განხილვა/ანგარიში;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ბესიკ მაჩიტაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო I სემესტრში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მასწავლებლების მიხედვით:

- **მურმან სურმავა -** გეოგრაფიის მასწავლებელი
  - ✔ გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 4 კადეტი (XII კლ. - გ.ბლიაძე. XI კლ. - მ.ბერიძე, თ.ლომაძე, გ.გახარია).
  - ✔ სადამრიგებლო ჯგუფში განახორციელა გასვლითი გაკვეთილი ნავენახევის მღვიმეში თემა „გლობალური გამოწვევები და ცვლილებები“.
  - ✔ დიაგნოსტიკური წერის შედეგები გეოგრაფიაში
    - 1-4 ქულა - 34 კადეტი (53%)
    - 5-6 ქულა - 24 კადეტი (37%)
    - 7 ქულა - 5 კადეტი (8%)
    - 9 ქულა - 1 კადეტი (2%)

- **ბესიკ მაჩიტაძე** - გეოგრაფიის მასწავლებელი
  - ✔ ონლაინ ტრენინგი მედიაწიგნიერება Teams-ის პლატფორმაზე.
  - ✔ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენცია “სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის უსაფრთხოების კონფერენცია”-ში, სადაც ლიცეუმის პედაგოგებთა ერთად წარადგინა თემა "ევროპული კავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის როლი და მნიშვნელობა საქართველოს გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში".
  - ✔ გეოგრაფიის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 8 კადეტი (მე-12 კლასი - ნ.ბუაძე, დ.მარღია, მე-11 კლასი - ნ.მარშანია, ს.ჭაფოძე, ც.ტერუნაშვილი, მე-10 კლასი - ი.ქართველიშვილი, ნ.შენგელია, ლ.ცირეკიძე)
  - ✔ 2023-2024 სასწავლ წელს როგორც საუკეთესო კლასის დამრიგებელს ლიცეუმის დირექციისგან გადაეცა საპატიო სიგელი და გენერალ გიორგი კვინიტაძის სტატუა.
  - ✔ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განახორციელა სასწავლო ექსკურსია სამეგრელოს მხარეში.
  - ✔ მეათე კლასებში პროექტ „შეიცანი მამული შენი“-ის ფარგლებში განახორციელა პროექტ გაკვეთილი „ჩემი მშობლიური მხარის/ქალაქის/სოფლის ტურისტული გიდი“.
  - ✔ დიაგნოსტიკური წერის შედეგები გეოგრაფიაში
    - 1-4 ქულა - 38 კადეტი (62,3%)
    - 5-6 ქულა - 22 კადეტი (36,1%)
    - 7 ქულა - 1 კადეტი (1,6%)

- **ქალთამზე მელქაძე** - მოქალაქეობა, სამოქალაქო მასწავლებელი

  - ✔ თავდაცვისა და უსაფრთხოების სამეცნიერო ჟურნალში ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა სტატია ,,გენდერი პოლიტიკაში“. სტატიის ავტორები ქ.მელქაძე და ნ.ოყრეშიძე.
  - ✔ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განახორციელა სასწავლო ექსკურსია სამეგრელოს მხარეში.

✔ **ნათია კენჭაძე -** ისტორიის მასწავლებელი

  - ✔ ისტორიის ინგლისურისა და ქართულის მასწავლებლებთან ერთად განხორციელების პროცესშია ინტეგრირებული პროექტი “მხიარული კალენდარი”
  - ✔ ტრენინგი კიბერუსაფრთხოების შესახებ
  - ✔ ისტორიის ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 2 მოსწავლე.
  - ✔ ისტორიის დიაგნოსტიკური წერის შედეგები:
    - 1-2 ქულა - 28 მოსწავლე (73%)
    - 3-4 ქულა - 10 მოსწავლე (27%)

- **ზინა ბუბუტეიშვილი -** ისტორიის მასწავლებელი

  - ✔ ინტეგრირებული პროექტი- მხიარული კალენდარი- ჩართული იყო 10 კლასები.
  - ✔ გასლითი გაკვეთილი ვანში კლასი 10-4კლ. თემა: „ოქრომრავალი კოლხეთი“.
  - ✔ ექსკურსია-„შეიმეცნე შენი სამშობლო“- ზემო იმერეთი.
  - ✔ გასვლითი გაკვეთილი ვანში 10-5კლ. თემა- „კოლხეთის სამეფო ანტიკურ ხანაში“.
  - ოლიმპიადაში მეორე ტურში გადავიდა 7 მოსწავლე (მე-12 კლასი - დ.ჯიმშიტაშვილი, გ.ბლიაძე, მ.მეფარიშვილი, მე-11 კლასი - ა.ფერაძე, ნ.გოლეთიანი, ნ.წიქორიძე, გ.ფხაკაძე).

  - ✔ დიაგნოსტიკური წერის შედეგები ისტორიაში

    - 1-4 ქულა - 49 კადეტი (98%)
    - 5-6 ქულა - 1 კადეტი (2%)

- **გიგა ბასილაძე** - ისტორიის მასწავლებელი

  - ✔ ონლაინ ვებინარი ხელოვნური ინტელექტი განათლებისათვის Teams-ის პლატფორმაზე.
  - ✔ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენციაში ,,ოქროს საწმისის ქვეყანა“-ში, სადაც წარადგინა თემა "საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიის(ჩეკა) ბრძოლა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ 1921-1924 წლებში“.
  - ✔ 2024 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი შედეგის დაფიქსირებაში შეტანილი წვლილისათვის ლიცეუმის დირექციისგან გადაეცა საპატიო სიგელი და ფასიანი საჩუქარი.

- ✔ მეათე კლასებში პროექტ „შეიცანი მამული შენი“-ის ფარგლებში განახორციელა პროექტ-გაკვეთილი ვანის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში.
- ✔ დიაგნოსტიკური წერის შედეგები ისტორიაში

  - 1-4 ქულა - 20 კადეტი (47,6%)
  - 5-6 ქულა - 15 კადეტი (35,7%)
  - 7 ქულა - 7 კადეტი (16,6%)

საკითხი N2. პირველი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე ბესიკ მაჩიტაძე

მოისმინეს: ბესიკ მაჩიტაძემ კათედრის წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულმა მასწავლებელმა უნდა წარმოადგინოს სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა შესრულებული დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული ნამუშევარის რამდენიმე ნიმუში თითოეული კლასის შემაჯამებლების საშუალო ქულები. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრაზე გაერთიანებულ თითოეულ საგანში კლასების მიხედვით ჩატარდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებები. თითოეულმა მასწავლებელმა კათედრის სხდომაზე წარმოადგინა მათ მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: ისტორიის მასწავლებელმა **ნათია კენჭაძემ** აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი გვეხმარება გავანალიზოთ თითოეულ კლასში ჩატარებული სამუშაოები. უკეთესი შედეგის მისაღებად, დავგეგმოთ ამ კლასში განსახორიელებელი ღონისძიებები და ა.შ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

ცნობად იქნას მიღებული მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 14:30 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/მ.სურმავა/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე **/ბ.მაჩიტაძე/**

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 4

ქ.ქუთაისი 15.01.2025

სხდომის დაწყების დრო: 15:30 სთ

კათედრის წევრები:

1. **ბესიკ მაჩიტაძე -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
2. **მურმან სურმავა -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
3. **ზინა ბუბუტეიშვილი -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
4. **გიგა ბასილაძე -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
5. **ქალთამზე მელქაძე** - მოქალაქეობის მენტორი მასწავლებელი
6. **ნათია კენჭაძე -** ისტორიის წამყვანი მასწავლებელი
7. **ნიკოლოზ ნემსიწვერიძე -** დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი.

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის თავმჯდომარემ **ბესიკ მაიტაძემ.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 7 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი

1. კათედრის სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანა;

საკითხი #1: კათედრის სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანა;

მომხსენებელი: კათედრის წევრი **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ კათედრის წევრებს შესთავაზა, რომ თებერვალში დავით აღმაშენებლის 10 საუკუნის იუბილესთან დაკავშირებით კათერამ განახორციელოს კვირეული. სადაც შეძლების და გვარად ჩართული იქნება მთელი კათედრა. თითეული საგნის მასწავლებელი გავინაწილებთ ფუნქციებს და განახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: ისტორიის მასწავლებელმა **გიგა ბასილაძემ,** რომ აღნიშნული ღონისძიება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კადეტებში დავით აღმაშენებლის ეპოქის უკეთ შესწავლასა და მნიშვნელობას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა: თებერვლის თვეში დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით კათედრის წევრები განახორციელებს სხვადასხვა აქტივობას. ღონისძიების ხელმძღვანელობა დაევალოს მოქალაქეობის მენტორ მასწავლებელს **ქალთამზე მელქაძეს.**

სხდომის დასრულების დრო: 16:15 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის
მდივანი **/მ.სურმავა/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის
თავმჯდომარე **/ბ.მაჩიტაძე/**

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 5

ქ.ქუთაისი 06.02.2025

სხდომის დაწყების დრო: 15:30 სთ

კათედრის წევრები:

1. **ბესიკ მაჩიტაძე -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
2. **მურმან სურმავა -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
3. **ზინა ბუბუტეიშვილი -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
4. **გიგა ბასილაძე -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
5. **ქალთამზე მელქაძე** - სამოქალაქო განათლების მენტორი მასწავლებელი
6. **ნათია კენჭაძე -** ისტორიის მასწავლებელი

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი **ნიკოლოზ ნემსიწვერიძე.**

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის თავმჯდომარემ **ბესიკ მაიტაძემ.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი

- ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში გადასული მოსწავლეების მომზადების საკითხის განხილვა;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ბესიკ მაჩიტაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი. მან კათედრის წევრებს გააცნო ეროვნულ სასწავლო ოლიმპიაის მესამე ტურში გადასული კადეტების შესახებ: გეოგრაფიაში გადავიდნენ მე-12 კლასის კადეტები ნიკოლოზ ბუაძე (მასწავლებელი ბესიკ მაჩიტაძე) და გიორგი ბლიაძე (მასწავლებელი მურმან სურმავა), ხოლო ისტორიაში - დავით ჯიმშიტაშვილი (მასწავლებელი ზინა ბუბუტეიშვილი), აქედან გამომდინარე აუცილებელია დაიწყოს მოსწავლეების აქტიური მზადება ეროვნული ოლიმპიადებისათვის მან აღნიშნა, რომ ოლიმპიადების მიზანია სწავლისადმი ინტერესების გაღვივება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და მათი წახალისება, რაც მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ სკოლისთვისაც.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: მურმან სურმავამ და ზინა ბუბუტეიშვილმა აღნიშნეს მოსწავლეთა მონდომება და წარმატება წინა სასწავლო წლებში. მათი აზრით, საჭიროა, მასწავლებლებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს ოლიმპიადებისთვის სათანადოდ მომზადებაში, რათა კიდევ უფრო დიდი წარმატებები იქნეს მიღწეული, ჩემი აზრით კვირაში ორი-სამი საათი საკმარისი იქნება მოსწავლეთა ოლიმპიადისთვის მომზადებისათვის.

კათედრის თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 6

წინააღმდეგი:-0

დაადგინეს: კათედრის წევრებმა ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა მოახდინონ მოსწავლეთა მომზადება გეოგრაფიისა და ისტორიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში კვირაში ორი საათი .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 16:15 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/მ.სურმავა/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე **/ბ.მაჩიტაძე/**

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 6

ქ.ქუთაისი 15.07.2025

სხდომის დაწყების დრო: 11:30 სთ

კათედრის წევრები:

1. **ბესიკ მაჩიტაძე -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
2. **მურმან სურმავა -** გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი
3. **ზინა ბუბუტეიშვილი -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
4. **გიგა ბასილაძე -** ისტორიის მენტორი მასწავლებელი
5. **ქალთამზე მელქაძე** - სამოქალაქო განათლების მენტორი მასწავლებელი
6. **ნათია კენჭაძე -** ისტორიის მასწავლებელი

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ისტორიის მასწავლებელი **ნათია კენჭაძე.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ სამხედრო ლიცეუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესში **მაია გაბუნია** და სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი **ვაჟა ჭელიძე.**

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის თავმჯდომარემ **ბესიკ მაიტაძემ.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 5 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. მეორე სემესტრისა და წლიური შედეგების განხილვა/ანგარიში;
2. 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

საკითხი #1: მეორე სემესტრისა და წლიური შედეგების განხილვა/ანგარიში;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ბესიკ მაჩიტაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ წევრებს შეახსენა, რომ კათედრა თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შემუშავებული აქვს კათედრის სამოქმედო გეგმა. მნიშვნელოვანია დღეს შევაჯამოთ 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის წევრების მიერ განხორციელებული აქტივობები:

2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის წევრების მიერ განხორციელდა შემდეგი **<u>აქტივობები:</u>**

- **მურმან სურმავა -** გეოგრაფიის მასწავლებელი
  - ✔ გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 4 კადეტი (XII კლ. - გ.ბლიაძე. XI კლ. - მ.ბერიძე, თ.ლომაძე, გ.გახარია).
  - ✔ გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში გადავიდა 1 კადეტი (XII კლ. - გ.ბლიაძე).
  - ✔ სადამრიგებლო ჯგუფში განახორციელა ექსკურსია გურიის მხარეში.
  - ✔ სადამრიგებლო ჯგუფში განახორციელა გასვლითი გაკვეთილი ნავენახევის მღვიმეში თემა „გლობალური გამოწვევები და ცვლილებები“.
  - ✔ დიაგნოსტიკური წერის შედეგები გეოგრაფიაში
    - 1-4 ქულა - 34 კადეტი (53%)
    - 5-6 ქულა - 24 კადეტი (37%)
    - 7 ქულა - 5 კადეტი (8%)
    - 9 ქულა - 1 კადეტი (2%)

- **ბესიკ მაჩიტაძე** - გეოგრაფიის მასწავლებელი
  - ✔ ონლაინ ტრენინგი მედიაწიგნიერება Teams-ის პლატფორმაზე.
  - ✔ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენცია “სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის უსაფრთხოების კონფერენცია”-ში, სადაც ლიცეუმის პედაგოგებთა ერთად წარადგინა თემა "ევროპული კავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის როლი და მნიშვნელობა საქართველოს გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში".

- ✔ გეოგრაფიის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 8 კადეტი (მე-12 კლასი - ნ.ბუაძე, დ.მარღია, მე-11 კლასი - ნ.მარშანია, ს.ჭაფოძე, ც.ტერუნაშვილი, მე-10 კლასი - ი.ქართველიშვილი, ნ.შენგელია, ლ.ცირეკიძე)
- ✔ პროექტის პრეზენტაცია -„ცერნის კვლევები და მისი გლობალური მნიშვნელობა
- ✔ გეოგრაფიის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში გადავიდა და გაიმარჯვა - გავიდა მესამე ადგილზე ნიკოლოზ ბუაძე (XII კლასი).
- ✔ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განახორციელა სასწავლო ექსკურსია გურიის მხარეში.
- ✔ 2023-2024 სასწავლ წელს როგორც საუკეთესო კლასის დამრიგებელს ლიცეუმის დირექციისგან გადაეცა საპატიო სიგელი და გენერალ გიორგი კვინიტაძის სტატუა.
- ✔ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განახორციელა სასწავლო ექსკურსია სამეგრელოს მხარეში.
- ✔ მეათე კლასებში პროექტ „შეიცანი მამული შენი“-ის ფარგლებში განახორციელა პროექტ გაკვეთილი „ჩემი მშობლიური მხარის/ქალაქის/სოფლის ტურისტული გიდი“.
- ✔ დიაგნოსტიკური წერის შედეგები გეოგრაფიაში
  - 1-4 ქულა - 38 კადეტი (62,3%)
  - 5-6 ქულა - 22 კადეტი (36,1%)
  - 7 ქულა - 1 კადეტი (1,6%)

- **ქალთამზე მელქაძე** - მოქალაქეობა, სამოქალაქო მასწავლებელი

- ✔ თავდაცვისა და უსაფრთხოების სამეცნიერო ჟურნალში ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა სტატია ,,გენდერი პოლიტიკაში“. სტატიის ავტორები ქ.მელქაძე და ნ.ოყრეშიძე.
- ✔ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განახორციელა სასწავლო ექსკურსია სამეგრელოს მხარეში.
- ✔ დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის დაგეგმვა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება
- ✔ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ინტეგრირებული გაკვეთილი (მოქალაქეობა, ინგლისური ინფორმატიკა).
- ✔ სადამრიგებლო პროექტის ფარგლებში ექსკურსია გურიის მხარეში.
- ✔ ,,სიდი“-სა და ,,გლობალური ეკონომიკური განათლების ალიანსის” (აშშ) მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი სახელწოდებით „ეკონომიკის სწავლება საგან მოქალაქეობაში“.
- ✔ განახორციელა საკლასო პროექტები

- ✔ **ნათია კენჭაძე -** ისტორიის მასწავლებელი

- ✔ ისტორიის ინგლისურისა და ქართულის მასწავლებლებთან ერთად განხორციელების პროცესშია ინტეგრირებული პროექტი “მხიარული კალენდარი”
- ✔ ტრენინგი კიბერუსაფრთხოების შესახებ
- ✔ ისტორიის ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 2 მოსწავლე.
- ✔ ისტორიის ინგლისურისა და ქართულის მასწავლებლებთან ერთად განხორციელებული ინტეგრირებული პროექტი “მხიარული კალენდარი”
- ✔ დავით აღმაშენებლის კვირეულის ფარგლებში ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებთან ერთად ჩატარებული ინტელექტუალური თამაში- “რა? სად? როდის?”
- ✔ ისტორიის დიაგნოსტიკური წერის შედეგები:
  - 1-2 ქულა - 28 მოსწავლე (73%)
  - 3-4 ქულა - 10 მოსწავლე (27%)

- **ზინა ბუბუტეიშვილი -** ისტორიის მასწავლებელი
  - ✔ ინტეგრირებული პროექტი- მხიარული კალენდარი- ჩართული იყო 10 კლასები.
  - ✔ გასლითი გაკვეთილი ვანში კლასი 10-4კლ. თემა: „ოქრომრავალი კოლხეთი“.
  - ✔ ექსკურსია-„შეიმეცნე შენი სამშობლო“- ზემო იმერეთი.
  - ✔ გასვლითი გაკვეთილი ვანში 10-5კლ. თემა- „კოლხეთის სამეფო ანტიკურ ხანაში“.
  - ✔ ოლიმპიადაში მეორე ტურში გადავიდა 7 მოსწავლე (მე-12 კლასი - დ.ჯიმშიტაშვილი, გ.ბლიაძე, მ.მეფარიშვილი, მე-11 კლასი - ა.ფერაძე, ნ.გოლეთიანი, ნ.წიქორიძე, გ.ფხაკაძე).
  - ✔ დავით აღმაშენებლის კვირეული - მოეწყო მოსწავლეთა ნახატების გამოფენა მე-11 საუკუნის საქართველოს ამსახველ თემატიკაზე, ჩატარდა რა, სად, როდის- მე-11 კლასებში.
  - ✔ სადამრიგებლო პროექტის ფარგლებში 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება- „მოვიდა აპრილი და ტიტებზე გაიარა“, სადაც ჩართული იყო 10-4 კლასის კადეტები.
  - ✔ „შეიცან სამშობლო შენი“ ფარგლებში განხორციელდა ექსკურსია გურია-აჭარის მიმართულებით, სადაც ჩართული იყო 10-4 კლასის პირადი შემადგენლობა.
  - ✔ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში - დავით ჯიმშიტაშვილი გახდა გამარჯვებული და დაიკავა საუკეთესო ათეულში მეათე ადგილი.
  - ✔ დიაგნოსტიკური წერის შედეგები ისტორიაში
    - 1-4 ქულა - 49 კადეტი (98%)

- 5-6 ქულა - 1 კადეტი (2%)

- **გიგა ბასილაძე** - ისტორიის მასწავლებელი

  - ✔ ონლაინ ვებინარი ხელოვნური ინტელექტი განათლებისათვის Teams-ის პლატფორმაზე.
  - ✔ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენციაში ,,ოქროს საწმისის ქვეყანა“-ში, სადაც წარადგინა თემა "საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიის(ჩეკა) ბრძოლა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ 1921-1924 წლებში“.
  - ✔ 2024 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი შედეგის დაფიქსირებაში შეტანილი წვლილისათვის ლიცეუმის დირექციისგან გადაეცა საპატიო სიგელი და ფასიანი საჩუქარი.
  - ✔ მეათე კლასებში პროექტ „შეიცანი მამული შენი“-ის ფარგლებში განახორციელა პროექტ-გაკვეთილი ვანის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში.
  - ✔ დავით აღმაშენებლის კვირეული - მოეწყო მოსწავლეთა ნახატების გამოფენა მე-11 საუკუნის საქართველოს ამსახველ თემატიკაზე, ჩატარდა რა, სად, როდის- მე-11 კლასებში.
  - ✔ დიაგნოსტიკური წერის შედეგები ისტორიაში
    - 1-4 ქულა - 20 კადეტი (47,6%)
    - 5-6 ქულა - 15 კადეტი (35,7%)
    - 7 ქულა - 7 კადეტი (16,6%)

სადამრიგებლო ჯგუფებთან ზ.ბუბუტეიშვილმა, ქ.მელქაძემ, მ.სურმავამ და ბ.მაჩიტაძემ ჩაატარეს მშობელთა 2-2 კრება.

სასწავლო წლის ბოლოს პირველი კურსის კადეტებს ჩაუტარდათ ისტორიის საგნობრივი გამოცდა, რომელშიც კადეტთა უმრავლესობამ აჩვენა საგნობრივი მომზადების მაღალი დონე. წლის ბოლოს 7 ქულიანი ბარიერი საგნების მიხედვით ვერ დააკმაყოფილა:

- მსოფლიო ისტორია - 12 კადეტი
- საქართველოს ისტორია - 2
- გეოგრაფია - 2 კადეტი
- მოქალაქეობა - 1 კადეტი
- ვერ დააკმაყოფილა 13 კადეტმა და გეოგრაფიაში 1 კადეტმა, შესაბამისად მათ დაენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. ახალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი ენერგიით შევუდგებით მუშაობას.

აზრი გამოთქვეს: ზინა ბუბუტეიშვილმა და მურმან სურმავამ .მათ აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები წარმატებით განხორციელდა და კადეტების ჩართულობა იყო მაქსიმალური. მათი დაინტერესება იყო მაღალი.

დაადგინეს: 2024-2025 სასწავლო წელს კათედრის მიერ გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და კათედრის წევრებმა დაიწყოს მომავალი სასწავლო წლისათვის განსახორციელებელ აქტივობების დაგეგმვაზე მუშაობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 12:45 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/მ.სურმავა/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე **/ბ.მაჩიტაძე/**